ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №5

ქ. ქობულეთი

31 დეკემბერი 2012 წელი

"სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-10[1] მუხლის, მე-3 პუნქტის, „ბ" ქვეპუნქტის, „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის №9 ბრძანების მე-3 მუხლის, მეორე პუნქტის, „ბ" ქვეპუნქტისა და ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის 2012 წლის 31 დეკემბრის №01-19/905 ბრძანების შესაბამისად, ერთის მხრივ ქობულეთის მუნიციპალიტეტი, ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის ელგუჯა ბაგრატიონის სახით (შემდგომში „შემსყიდველი") და მეორეს მხრივ ინდივიდუალური მეწარმე „შალვა მესხიძე", წარმოდგენილი შალვა მესხიძის სახით (შემდგომში „მიმწოდებელი"), ვდებთ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომ „ხელშეკრულება") - შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება მასზე თანდართული ყველა დოკუმენტითა და დამატებებით, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ;
1.2. „ხელშეკრულების ღირებულება" – ხელშეკრულების ჯამური ღირებულება, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულების სანაცვლოდ;
1.3. „შემსყიდველი" – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას;
1.4. „მიმწოდებელი" – პირი, რომელიც ახორციელებს მომსახურებას მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში;
1.5. "დღე", "კვირა", "თვე" – კალენდარული დღე, კვირა, თვე;
1.6. „მომსახურება" – ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი;

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. ქალაქ ქობულეთის ტერიტორიაზე არსებული სანიაღვრე არხებისა და სანიაღვრე ჭების მიმდინარე ექსპლოატაციის პროგრამის ფარგლებში (2012 წელი 31 დეკემბერი განკარგულება №258) ქალაქ ქობულეთის ტერიტორიაზე არსებული სანიაღვრე არხებისა და სანიაღვრე ჭების მიმდინარე ექსპლოატაცია (CPV 90400000 - ჩამდინარე წყლებთან დაკავშირებული მომსახურებები).
2.2 გასაწევი მომსახურების ზუსტი დასახელება, რაოდენობა, სრული აღწერილობა (სპეციფიკაცია), ერთეულის ფასი და მთლიანი ღირებულება განსაზღვრულია წინამდებარე ხელშეკრულებაზე თანდართული დანართების მიხედვით.

3. ღირებულება და ანგარიშსწორების წესი

3.1 ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 5576,9 (ხუთიათას ხუთას სამოცდათექვსმეტი ლარი და ოთხმოცდაათი თეთრი) ლარს.
3.2 შემსყიდველი ანგარიშსწორებას ახორციელებს ფაქტიურად გაწეულ მომსახურებაზე მიღება-ჩაბარების აქტის წარმოდგენიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.
3.3 ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით.
3.4 ანგარიშსწორება განხორციელდება ლარებში, წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული „მიმწოდებელი"–ს საბანკო რეკვიზიტებზე.

4. მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

4.1 მომსახურება ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ გაწეულ მომსახურებაზე შედგენილი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.
4.2 მომსახურების მიღება-ჩაბარებას ახორციელებს ზურაბ ხინიკაძე - ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკის, ინფრასტრუქტურის და საინვესტიციო განვითარების

სამსახურის, ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის განყოფილების მთავარი სპეციალისტი ინფრასტრუქტურის საკითხებში.

4.3 შემსყიდველი ვალდებულია ოპერატიულად, წერილობითი სახით, აცნობოს მიმწოდებელს შემოწმების შედეგები, დაწუნებული მომსახურების მოცულობის და წუნდების მიზეზის მითითებით.

4.4 შემსყიდველს შეუძლია უარი განაცხადოს გაწეული მომსახურების ან მისი ნაწილის მიღებაზე, თუ კონტროლის შედეგები არ იყო დადებითი და მიმწოდებლის მიერ არ იყო აღმოფხვრილი შემოწმების შედეგად გამოვლენილი ხარვეზები.

5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

5.1 მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში, დანართით გათვალისწინებული მომსახურების გაწევა.

ბ) დაუყონებლივ, შეტყობინების მიღებისთანავე, განახორციელოს კონტროლის ჯგუფის მიერ გამოვლენილი დეფექტის ან მისი ნაწილის გამოსწორება.

დ) გააცნოს შემსყიდველს მომსახურების მიმდინარეობის შედეგები და გაითვალისწინოს მისი მოთხოვნები.

5.2 მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) აწარმოოს კონტროლი ხელშეკრულების ფარგლებში გასაწევი მომსახურების მიმდინარეობაზე;

ბ) აუნაზღაუროს მიმწოდებელს გაწეული მომსახურების ღირებულება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

6. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

6.1 ხელშეკრულების პირობების არაჯეროვანი შესრულების ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში, მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0,5%–ს ოდენობით,

6.2 იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 5%–ს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულება.

6.3 მიმწოდებელს მომსახურების უხარისხოდ ან/და არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში, დაუყონებლივ ეცნობება და მიეცემა წერილობითი გაფრთხილება. 1 დღის განმავლობაში არსებული ხარვეზის აღმოუფხვრელობის ან/და შემდგომ განმეორების შემთხვევაში, მას დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 2%-ის ოდენობით.

6.4. შემსყიდველის წერილობითი მოთხოვნის მიღებიდან 5 (ხუთი) დღის განმავლობაში, მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, შემსყიდველი უფლებამოსილია, პირგასამტეხლოს თანხა გამოქვითოს გაწეული მომსახურების ასანაზღაურებელი თანხიდან.

6.5. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

7. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

7.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს განახორციელებს ზურაბ ხინიკაძე - ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკის, ინფრასტრუქტურის და საინვესტიციო განვითარების სამსახურის, ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის განყოფილების მთავარი სპეციალისტი ინფრასტრუქტურის საკითხებში.

7.2 კონტროლის განმხორციელებელი პირის ფუნქციებია გაწეული და/ან გასაწევი მომსახურების მოცულობის, ხარისხისა და მიწოდების ვადების ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, სათანადო კონტროლისა და ზედამხედველობის განხორციელება და მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმება. ასევე სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების პირობების შესაბამისად, მიმწოდებელთან ანგარიშსწორების პროცესის რეგულირება.

8. დაუძლეველი ძალა

8.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში მხარე ვალდებულია მეორე მხარეს აცნობოს ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.
8.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „დაუძლეველი ძალა" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა ან/და მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და, რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი.
8.3. თუ, მხარე დაუძლეველი ძალის გამო, ვერ ასრულებს ვალდებულებებს, მან ამის შესახებ დაუყოვნებლივ, არაუგვიანეს მომდევნო სამუშაო დღისა, წერილობით უნდა აცნობოს მეორე მხარეს აღნიშნული გარემოების დადგომის (დასრულების) შესახებ.
8.4. 8.3. მუხლით განსაზღვრული ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მხარე არ გათავისუფლდება ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებებისაგან.
8.5. მხარეთა ვალდებულებები და პასუხისმგებლობა განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

9. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

9.1. არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.
9.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.
9.3. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.
9.4. თუ, რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელის მიზეზების გამო, წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია 1 (ერთი) სამუშაო დღის ვადაში.

10. გარანტიები

მიმწოდებელი ვალდებულია შეტყობინების მიღებისთანავე განახორციელოს უხარისხოს გაწეული მომსახურების ან მისი ნაწილის გამოსწორება, შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯების გაწევის გარეშე. მიმწოდებლის მიერ ამ ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, შემსყიდველს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება ან/და თვითონ მიიღოს ზომები წარმოქმნილი დეფექტების გამოსწორებისათვის და მოსთხოვოს მიწოდებელს შესაბამისი ხარჯების ანაზღაურება ან/და გამოქვითოს ეს თანხა ხელშეკრულების მიხედვით მიმწოდებლისათვის გადასახდელი თანხიდან. ასევე გამოიყენოს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული საჯარიმო სანქციები.

11. სადაო საკითხების გადაწყვეტა

11.1 შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.
11.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

12. გადასახადები და დაბეგვრა

მიმწოდებელი პასუხს აგებს მომსახურების გაწევასთან დაკავშირებული ყველა იმ გადასახადების, ბაჟების, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე, რომლებიც გადასახდელია საქართველოს ფარგლებში და მის გარეთ.

13. სხვა პირობები

13.1. ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის, ელექტრონული წერილის ან ფაქსის სახით, ორიგინალის შემდგომი წარდგენით, ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე. შეტყობინება ძალაში შედის ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.
13.2. ხელშეკრულება და მასთან დაკავშირებული მთელი წერილობითი მოლაპარაკებები და სხვა დოკუმენტაცია, რომელიც გაიცვლება მხარეთა შორის შესრულდება ქართულ ენაზე.
13.6. ხელშეკრულება შედგენილია ხუთი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან ოთხი ეგზემპლარი ინახება შემსყიდველთან და ერთი ეგზემპლარი მიმწოდებელთან.

14. ხელშეკრულების მოქმედების და მომსახურების გაწევის ვადები და პირობები:

14.1. მომსახურება მიმწოდებელმა უნდა შეასრულოს 2013 წლის 01 იანვრიდან 2013 წლის 31 იანვრის ჩათვლით, წინამდებარე ხელშეკრულებაზე თანდართული დანართებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.
14.2. ხელშეკრულება ძალაში შედის 2013 წლის 01 იანვრიდან და მოქმედებს 2013 წლის 28 თებერვლის ჩათვლით.

15. „შემსყიდველი"–ს იურიდიული მისამართი და რეკვიზიტები

15.1 „შემსყიდველი"–ს მისამართი: ქ. ქობულეთი, დავით აღმაშენებლის გამზირი №141;
15.2 „შემსყიდველი"–ს საბანკო რეკვიზიტები: ს.ს. „ლიბერთი ბანკი", ბანკის კოდი **LBRTGE22**, ა/ა **GE56LBO120113125552000**, საიდენტიფიკაციო კოდი 247001890;
15.3 „შემსყიდველი" – ქობულეთის მუნიციპალიტეტი.

16. „მიმწოდებელი"–ს იურიდიული მისამართი და რეკვიზიტები

16.1 „მიმწოდებელი"–ს მისამართი: ქობულეთი, სოფ. კვირიკე;
16.2 „მიმწოდებელი"–ს საბანკო რეკვიზიტები: სს „საქართველოს ბანკი", ბანკის კოდი **BAGAGE22**, ა/ა **GE43BG0000000890480600**, საიდენტიფიკაციო კოდი **61004024242**;
16.3 „მიმწოდებელი"– ინდივიდუალური მეწარმე „შალვა მესხიძე"

„შემსყიდველი" – ქობულეთის მუნიციპალიტეტი

ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ელგუჯა ბაგრატიონი

„მიმწოდებელი"– ინდ. მეწარმე „შალვა მესხიძე" შალვა მესხიძე

ქალაქ ქობულეთში არსებული სანიაღვრე არხების მოვლა-პატრონობის

ფასების ცხრილი

№	პროგრამის გათვალისწინებული გასაწევი მომსახურების დისლოკაციის ადგილი	პროგრამის გათვალისწინებული გასაწევი მომსახურების დასახელება		
		ქ. ქობულეთში არსებული დახურული სანიაღვრე არხების გაწმენდა, შლამის ამოღება და გატანა (გრძივი მეტრი)	ქ. ქობულეთში არსებული ღია სანიაღვრე არხების გაწმენდა, შლამის ამოღება და გატანა (გრძივი მეტრი)	ქ. ქობულეთში არსებული სანიაღვრე ჭების გაწმენდა, შლამის ამოღება და გატანა (ცალი)
1	რუსთაველის ქუჩა	41	717	2
2	დავით აღმაშენებლის გამზირი	491		4
3	მეგობრობის ქუჩა	101		3
4	თავისუფლების ქუჩა	63		3
5	ჯავახიშვილის ქუჩის შესახვევები		37	
6	ჯავახიშვილის ქუჩა	23		
7	კაიკაციშვილის ქუჩა თხილაიშვილის ქუჩამდე		25	
8	აბაშიძის ქუჩა		65	
9	თამარ მეფის სანაპირო	7		
10	რუსთაველის ქუჩის კვეთიდან კომახიძის ქუჩის მიმართულებით ტაბიძის ქუჩა	8		
11	ჭავჭავაძის ქუჩა	68		1
12	ლესელიძის ქუჩა	25		
13	თბილისის ქუჩა	39		2
14	კოსტავას ქუჩა	56		2
15	თბილისის ქუჩის შესახვევი	7		
16	სოხუმის ქუჩა	19		1
17	ჯაფარიძის ქუჩა	44		2
18	ძნელაძის ქუჩა	45		3
19	ჩეხოვის ქუჩა	45		2
20	ლერმონტოვის ქუჩა	22		1
21	ხალვაშის ეზო ლერმონტოვის ქუჩის შეერთებამდე	11		1
22	კინტრიშის მე-2 შესახვევი	14		1
23	რკინიგზის სადგურიდან "ვილარი"-ს მიმართულებით რკინიგზის გასწვრივ		17	
24	"ვილარი"-დან რუსთაველის ქუჩის მიმართულებით		33	
25	რუსთაველის პირველი შესახვევი		25	
26	კომახიძის ქუჩა			
27	თამარ მეფის სანაპიროზე გადასასვლელი სანიაღვრე არხების გაწმენდა	148	0	
28	ჯამი (გრძივი მეტრი)	1277	919	28
29	ერთეულის ღირებულება (ლარი)	3,2	1,5	4,0
	სულ ჯამი (ლარი)	4086,4	1378,5	112

ინდივიდუალური მეწარმე „შალვა მესხიძე“ შალვა მესხიძე

247001890

ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა №01-19/905

2012 წლის 31 დეკემბერი

ქ.ქობულეთი

გამარტივებული წესით შესყიდვის პროცედურების დაწყების შესახებ

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის 10[1] მუხლის, მე–3 პუნქტის, „ბ" ქვეპუნქტის, „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 07 აპრილის №9 ბრძანების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტისა და ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2012 წლის 31 დეკემბრის №01-14/2249 მომართვის შესაბამისად **ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:**

1.ქალაქ ქობულეთის ტერიტორიაზე არსებული სანიაღვრე არხებისა და სანიაღვრე ჭების მიმდინარე ექსპლოატაციის (CPV 90400000 - ჩამდინარე წყლებთან დაკავშირებული მომსახურებები) შესყიდვა განხორციელდეს გამარტივებული შესყიდვის წესით.

2.ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობამ, მომსახურების ხარისხის გაუარესების თავიდან აცილების მიზნით, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, ხელშეკრულება გააფორმოს მხოლოდ იმ მომწოდებელთან, რომელიც ახორციელებდა ზემოაღნიშნულ მომსახურებას.

3.ანგარიში ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობამ, ქალაქ ქობულეთის ტერიტორიაზე არსებული სანიაღვრე არხებისა და სანიაღვრე ჭების მიმდინარე ექსპლოატაციის შესყიდვის მიზნით განხორციელებული პროცედურების შესახებ, თანდართული დოკუმენტაციით, წარადგინოს ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის წინაშე.

4.ქობულეთის მუნიციპალიტეტის იურიდიულმა სამსახურმა, შესყიდვის განხორციელების შემდეგ, დაუყოვნებლივ აცნობოს განხორციელებული შესყიდვის შესახებ კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს.

5.ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ.№30).

6.ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე ე. ბაგრატიონი